

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.07.2021


### მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები საქართველოში

2021 წლის ივნისი

#### ძირითადი შედეგები

- მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით შემცირდა 2.1 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 0.1 პროცენტით;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით შემცირდა 0.1 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით არ შეცვლილა;
- მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 2.9 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით 8.5 პროცენტით.

### მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები



## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.07.2021

### მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით შემცირდა 2.1 პროცენტით. ფასების 2.4 პროცენტით კლება დაფიქსირდა სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე. ამასთან, ფასები 8.0 პროცენტით შემცირდა წყლის ტრანსპორტის მომსახურებაზე, ხოლო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე სახეზეა ფასების 1.0 პროცენტიანი ზრდა. აღსანიშნავია ფასების შემცირება დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 4.3 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაიზარდა 0.1 პროცენტით. ფასების ზრდა დაფიქსირდა სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე 2.7 პროცენტით, ხოლო დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 2.5 პროცენტით. ამასთან, ფასები შემცირებულია საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 10.6 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის ივნისში სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>100.1</b>	<b>0.08</b>
49	სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურება და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება	102.7	2.29
51	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	89.4	-2.11
52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება	102.5	0.07

\*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.07.2021

### სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ჯამური ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** შემცირდა 0.1 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების ფასები შემცირდა 1.3 პროცენტით.

**წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით** ინდექსი არ შეცვლილა. უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 0.1 პროცენტით, ხოლო სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 0.6 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის ივნისში სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>100.0</b>	<b>-0.02</b>
61.2	უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	100.1	0.02
61.9	სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურება	99.4	-0.04

\*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.07.2021

### მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 2.9 პროცენტით. ფასების ზრდა დაფიქსირდა დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე 4.6 პროცენტით, ხოლო საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე 0.2 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაზრდილია 8.5 პროცენტით. საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურების ფასები გაიზარდა 11.3 პროცენტით, ხოლო დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურების ფასები 0.4 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის ივნისში დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>108.5</b>	<b>8.49</b>
55	მომსახურება დროებითი განთავსების საშუალებებით	100.4	4.01
56	მომსახურება საკვების და სასმელების მიწოდებით	111.3	4.48

\*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).

ელფოსტა: [gtetrauli@geostat.ge](mailto:gtetrauli@geostat.ge)